

2021 წლის არჩევნებთან დაკავშირებით შპს სამაუწყებლო კომპანია “ფორმულას” დაკვეთით ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც განახორციელა საერთაშორისო კომპანია Edison Research-მა (www.edisonresearch.com). Edison Research არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ისეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. **დამკვეთი:** შპს “ფორმულა” (ს/კ:405345666), მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. N45, თბილისი, 0177, საქართველო.
2. **კვლევა ფასიანია თუ უფასო:** კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. კვლევას, სახელშეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს Edison Research, შპს „სამაუწყებლო კომპანია ფორმულას“ დაკვეთით.
3. **ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა კვლევა:** სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Edison Media Research, Inc; მისამართი: 6 ვესტ კლიფ ქუჩა, სამერვილ, ნიუ ჯერსი 08876, ამერიკის შეერთებული შტატები.
4. **კვლევის ჩატარების დრო:** 13.08.2021-5.09.2021.
5. **გამოკითხვის მეთოდი:** პირისპირი გამოკითხვა.
6. **გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა:**
 1. როგორ ფიქრობთ, ზოგადად ჩვენი ქვეყანა ვითარდება სწორი თუ არასწორი მიმართულებით?
 2. მომდევნო რამდენიმე წელზე ფიქრისას, რა განწყობა აღწერს საუკეთესოდ იმას, თუ რას გრძნობთ თქვენი და თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების ცხოვრებაზე?
 3. 2021 წელს დაგეგმილ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე რომ ვისაუბროთ, რამდენად სავარაუდოა, რომ მონაწილეობას მიიღებთ ამ არჩევნებში? წახვალთ ხმის მისაცემად?
 4. დღეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?
 5. ვის დაუჭერენ მხარს 2021 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე, ის რესპონდენტები, ვინც აცხადებენ რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმა მისცეს ქართულ ოცნებას
 6. დღეს, რომ თბილისის მერის არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას?
 7. თქვენს ქალაქში მერის არჩევნები დღეს რომ ჩატარებულიყო, ვის მისცემდით ხმას?
 8. შესაძლებელია, რომ 2022 წელს დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, თუ „ქართული ოცნება“ ვერ მიიღებს ხმების მინიმუმ 43% მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ქვემოთ მოცემული დებულებებიდან, რომელია ყველაზე ახლოს თქვენს მოსაზრებასთან?
 9. თქვენი აზრით, მოახერხებს თუ არა ქართული ოცნება ხმების 43% -ს მიღებას მომავალ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში?
 10. რ

11. თქვენი აზრით, როგორი გავლენა ექნება საქართველოზე, ქართული ოცნების გადაწყვეტილებას გასულიყო ევროკავშირის/შარლ მიშელის დოკუმენტიდან?
12. თქვენი აზრით, როგორ აისახება ქართული ოცნების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ევროკავშირის/შარლ მიშელის შუამავლობით მიღწეული შეთანხმების ანულირებასთან დაკავშირებით, ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე?
13. თქვენი აზრით, ქართული ოცნების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ევროკავშირის/შარლ მიშელის შუამავლობით მიღწეული შეთანხმების ანულირებასთან დაკავშირებით, ზრდის თუ არა პოლიტიკური პოლარიზაციის დონეს ქვეყანაში?
14. ახლა წაგიკითხავთ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის სახელს. გთხოვთ, მითხრათ, როგორია თქვენი აზრი თითოეული მათგანის შესახებ?
15. ახლა წაგიკითხავთ ზოგიერთი ქართული ინსტიტუციისა და დაწესებულების სახელს, თქვენ კი გთხოვთ მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით თითოეულ მათგანს
16. რამდენად მოსალოდნელია, რომ თბილისში 5 ივლისის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა, ზეგავლენა მოახდინოს თქვენს გადაწყვეტილებაზე, მხარი დაუჭიროთ ქართულ ოცნებას, 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში?
17. თქვენი აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თუ არა LGBTQ პრაიდის მონაწილეთა უსაფრთხოება?
18. თქვენი აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თუ არა ჟურნალისტების უსაფრთხოება?
19. ლექსო ლაშქარავა, იყო ჟურნალისტი რომელიც 5 ივლისის მოვლენების დროს დაზარალდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. თქვენი აზრით, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალება სრულად დაკავშირებულია 5 ივლისის მოვლენებთან, ნაწილობრივ დაკავშირებულია თუ საერთოდ არ არის დაკავშირებული?
20. . თქვენი აზრით, საქართველოს საპატრიარქომ დაიკავა თუ არა სწორი პოზიცია თბილისში 5 ივლისის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით?
21. თვლით თუ არა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური უნდა გადამდგარიყო 5 და 6 ივლისის მოვლენების შემდეგ?
22. ემხრობით თუ არა დასავლეთის მხრიდან ქართული ოცნების ზოგიერთ წარმომადგენელზე სანქციების დაწესებას, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს მათი ფინანსური ანგარიშების დაყადაღებას და დასავლურ ქვეყნებში თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას?
23. ახლა ჩამოგივლით სხვადასხვა ქვეყნებს და გაერთიანებებს, გთხოვთ შეაფასოთ როგორია თქვენი განწყობა თითოეულის მიმართ.
7. **შესაძლო ცდომილების ფარგლები:** შესაძლო ცდომილება +/-3% საქართველოს მაშტაბით and +/- 3% თბილისისთვის, 95%-იანი სანდოობის დონისათვის.
8. **კვლევაში წარმოდგენილი პოპულაცია/კატეგორია:** საქართველოს მოსახლეობა, რომელთაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არიან 18 წლის ან მეტის.
9. **შერჩევის არეალი:** საქართველო (გარდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიებისა).

10. შერჩევის ზომა: 1500.
11. შერჩევის ტიპი: შემთხვევითი შერჩევა (არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შანსი, რომ მოხვდეს შერჩევაში).
12. მოხდა თუ არა მონაცემების შეწონვა: დიახ, მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სქესის, ასაკის, რეგიონისა და განათლების პარამეტრებით.
13. კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი: 1500 რესპონდენტი, 18+ წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული რესპონდენტები.
14. ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს: შედეგები ემყარება რესპონდენტების პასუხებს კითხვარებზე, რომელიც გამიზნულია ასახოს კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი კონკრეტულ საკითხებზე. მონაცემები მოიცავს ყველა რესპონდენტის მოსაზრებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.

15. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა:

	რაოდენობა	%
1. არავინ ცხოვრობს	181	რესპონდენტისგან დამოუკიდებელი უარი
2. არავინ ალებს კარს, სახლში არავინაა	107	4.0%
3. ადამიანი ვისაც დავეკონტაქტეთ უარს ამბობს თანამშრომლობაზე	418	15.8%
4. ადამიანი ვისაც დავეკონტაქტეთ უარს ამბობს თანამშრომლობაზე კორონავირუსთან დაკავშირებული საფრთხის გამო	233	8.8%
5. ოჯახში არ ცხოვრობს საჭირო სქესის ადამიანი	137	რესპონდენტისგან დამოუკიდებელი უარი
6. დაბადების დღის მიხედვით შერჩეული რესპონდენტი სახლში არ არის	28	1.1%
7. შერჩეული რესპონდენტი უარს ამბობს ინტერვიუზე	162	6.1%
8. არ შეუძლია პასუხის გაცემა (ნასვამი, ავადმყოფი, და ა.შ.)	49	1.8%
9. არ შეეფერება მოთხოვნას (არ აქვს ხმის მიცემის უფლება)	185	რესპონდენტისგან დამოუკიდებელი უარი
10. შერჩეული რესპონდენტი ყოველდღე გვიან ბრუნდება და მასთან დაკონტაქტება შეუძლებელია	112	4.2%
11. ენობრივი ბარიერი	18	0.7%
12. სხვა მიზეზი	25	0.9%
13. წარმატებული ინტერვიუ	1,500	56.6%
ჯამი	3,155	100%

16. ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე: მონაცემები ეფუძნება 13.08.2021-5.09.2021 არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე 18+ წლის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოკითხულ 1500 რესპონდენტთა აზრს. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: info@edisonresearch.com. www.edisonresearch.com